მომენტები, მომენტები, მომენტები...

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 23 ივნისი.

“დინამო” (თბილისი) _ ცსკა _ 0:0.

“დინამო”: გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, პეტრიაშვილი, გავაშელი, მ. მაჩაიძე, მჭედლიშვილი (რეხვიაშვილი), გუცაევი, გ. ნოდია, ყიფიანი.

ცსკა: ასტაპოვსკი, იანეცი, ზვიაგინცევი, ისტომინი, კაპლიჩნი, ხისამუტდინოვი, დოლგოვი, კოპეიკინი, ფედოტოვი (ტელინგერი), პოლიკარპოვი, დოროფეევი.

მსაჯი: ა. ივანოვი (ლენინგრადი).

დუბლიორები _ 2:1 “დინამოს” სასარგებლოდ. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს წერეთელმა და ბუძიშვილმა, ცხკა-ს მხრივ _ კუზნეცოვმა.

სსრ კავშირის ჩემპიონი I ლიგაში! ასეთი საფეხბურთო კურიოზის წინაშე აღმოჩნდა შარშან ცსკა. მაშინდელმა ჩემპიონმა სამ გუნდთან ერთად ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვა და მხოლოდ გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობით შეინარჩუნა ადგილი უმაღლეს ლიგაში. ამაში არმიელებს დაუფასებელი “სამსახური” გაუწია თბილისის “დინამომ”, რომელმაც ორივე წრეში მარცხი იწვნია მათთან შეხვედრებში და 4 ქულით ის “გამსვლელი ბალი” შეუქმნა ცსკა-ს, რომლის წყალობითაც იგი ისევ უძლიერესთა რიგებშია.

მაგრამ ისტორია მუდამ არ მეორდება. მოსკოველმა არმიელებმა იოლად დაძლიეს შარშანდელი კრიზისი, კვლავ უწინდებურად თამაშობენ და ახლა ისევ ოქროს მედლებისთვის მებრძოლთა რიგებში არიან.

ცსკა-მ განვლილ მატჩშიც ცხადყო თავისი სიძლიერე. გუნდის დაცვამ და მეკარე ასტაპოვსკიმ შეძლეს ეხსნათ კარი საგოლე მომენტებში, რომლებიც სისტემატურად იქმნებოდა მათს საჯარიმო მოედანზე, ხოლო წინა ხაზზე თავდამსხმელები მოქმედებდნენ მოულოდნელი, სწრაფი, ზუსტი კონტრშეტევებით და არანაკლებ ხშირად ქმნიდნენ ბურთის გატანის შესაძლებლობებს მოპირდაპირე კართან.

... წუთიც არ იყო გასული თამაშის დაწყებიდან, როცა ნოდიას ბურთის გატანის რეალური საშუალება მიეცა ყიფიანის საუკეთესო გადაცემის შემდეგ, მაგრამ მისი გადამწყვეტი დარტყმა უზუსტო გამოდგა. მალე გუცაევს, მაჩაიძეს და კვლავ ნოდიას ზედიზედ შეექმნათ ასეთივე შესაძლებლობანი არმიელთა კარის უშუალო სიახლოვეს და სტუმრები ისევ იღბლად გადაურჩნენ აშკარა გოლს.

ზუსტად ამავე პერიოდში არანაკლები ხიფათის წინაშე იყო დინამოელთა კარი, სადაც რამდენიმეჯერ არაზუსტად ითამაშა გოგიამ. კოპეიკინის, დოროფეევის დარტყმების შემდეგ ბურთი ასეთივე ვითარებაში სცდებოდა მიზანს, ხოლო ერთხელ მეკარის ფუნქციის შესრულება მოუხდა ხურცილავას, რომელმაც ბოლო მომენტში მიუსწრო ბურთს.

მთელი ტაიმის განმავლობაში დაუღალავად, ენერგიულად თამაშობდნენ “დინამოს” თავდამსხმელები გუცაევი, ნოდია, ყიფიანი. სტუმრების მცველებს უჭირდათ მათთან ინდივიდუალური ბრძოლა და გამუდმებით იხმარებდნენ მაშველ ძალას ნახევარდაცვის ხაზიდან ხისამუტდინოვისა და დოლგოვის სახით. ამ სიტუაციაში გადამწყვეტი როლი უნდა შეესრულებინა თბილისელთა ნახევარდაცვას, მაგრამ ეს რგოლი აშკარად ჩამორჩებოდა გუნდში. გავაშელს პერსონალური დავალება ჰქონდა: მოსკოველთა მაორგანიზებელი მოთამაშის _ პოლიკარპოვის ნეიტრალიზება. ამ ამოცანის შესრულებისას იგი მოკლებული იყო საშუალებას თამამად მიეღო მონაწილეობა თავისი გუნდის იერიშებში. სუსტად ითამაშა მჭედლიშვილმა, რომელიც ხშირად კარგავდა ბურთს. მაჩაიძე კი სისტემატურად აგვიანებდა გადაცემას მაშინაც კი, როცა მისი პარტნიორები გახსნილი იყვნენ კომბინაციის გასაგრძელებლად. იგრძნობოდა ასათიანის არყოფნა, რომელსაც შეეძლო მოეწესრიგებინა ურთიერთმოქმედება მინდვრის ცენტრში. ამის გამო თამაშის მთელი სიმძიმე ჩვენი გუნდის თავდასხმას და დაცვას დააწვა.

მიუხედავად ამისა, დინამოელებს შეეძლოთ მოეგოთ ტაიმი, შეტევის დამამთავრებელ ფაზაში მეტი ყურადღება და მობილიზება რომ გამოეჩინათ.

ასეთივე ორმხრივი იერიშებით იყო აღსავსე მეორე ტაიმი. ისევ მრავლად იქმნებოდა საგოლე მომენტები ორივე კართან, კერძოდ, 65-ე წუთზე გუცაევის ფლანგური გარღვევის შემდეგ ასტაპოვსკის პირისპირ აღმოჩნდა რეხვიაშვილი, რომელმაც ბურთის გატანის თითქმის ასპროცენტიანი შანსი ვერ გამოიყენა.

მატჩის დასასრულს დინამოელთა რიგებში თავი იჩინა დაღლილობამ, ცსკა-მ რამდენიმე ძლიერი იერიში განახორციელა კოპეიკინისა და მინდორზე ახალგამოყვანილი ტელინგერის მეშვეობით, მაგრამ ბურთის გატანა ამ მატჩში არც ერთ მხარეს არ ეწერა.

რ. ქორიძე.
“ლელო”, 25 ივნისი, 1972 წ.